ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2024 | No. 5, 28-51

ISSN2667-9825(online)

სიძულვილი, რომელსაც ვირჩევთ[1]

ქართველი ამომრჩევლის დამოკიდებულება პოლიტიკურ მიმართვებში გენდერული თანასწორობის კონცეფციის ფარგლებში სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ

ნინო კობალაძე, ქეთევან შუკაკიძე

ფსიქოლოგის განათლებისა და მეცნიერებების ბაკალავრები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The Hate We Choose

The attitude of Georgian voters towards the use of hate speech in political appeals within the framework of the concept of gender equality

Nino Kobaladze, Ketevan Shukakidze

Bachelors of the Faculty of Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

[1] „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს სიძულვილის ენის გამოყენების გავლენა ამომრჩევლის მიერ კანდიდატის არჩევაზე – ახდენს თუ არა იგი გავლენას პოტენციურ ამომრჩევლებზე და თუ ახდენს, ამომრჩევლის რომელ კატეგორიაზე. კვლევის ფარგლებში შემოწმებულ იქნა, თუ რა გავლენა აქვს ინდივიდის სქესს, ასაკსა და სოციალურ დომინანტურ ორიენტაციას სიძულვილის ენის მიმღებლობაზე. კვლევის მონაწილეთა რაოდენობა 120-ს შეადგენს. კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ: (ა) რესპონდენტთა დამოკიდებულება სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი; (ბ) სოციალური დომინანტური ორიენტაციის ზრდასთან ერთად იზრდება სიძულვილის ენის გამოყენებისადმი მიმღებლობა; (გ) სიძულვილის ენის გამოყენებისადმი კაცების და ქალების დამოკიდებულება არ განსხვავდება; (დ) ასაკოვანი ადამიანებისთვის სიძულვილის ენის შემცველი მიმართვა უფრო მისაღებია, ვიდრე მოზრდილი ადამიანებისთვის. წინამდებარე კვლევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ის ქართველი ამომრჩევლის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. მიღებული შედეგები შესაძლოა, გამოყენებულ იქნას როგორც პოლიტიკურ საქმიანობაში, ასევე სოციალური ცხოვრების სხვადახვა სფეროში.

საკვანძო სიტყვები: *სიძულვილის ენა, გენდერული თანასწორობა, ინკლუზიურობის პოლიტიკა, სოციალური დომინანტური ორიენტაცია, პატრიარქატი.*

Abstract

The following research aims to examine the impact of hate speech on voters' choice of candidates – does it affect potential voters and if so, on which category of them? The study checked the impact of individuals' gender, age and social dominant orientation on acceptance of using hate speech. The total number of research participants was 120. The study shows, that: (a) respondents' attitude towards using hate speech is more negative than positive; (b) with growing social dominant orientation (SDO) grows acceptance of using hate speech; (c) the attitude to using hate speech does not differ for men or women; (d) texts that contain hate speech is more acceptable for elders' than adults. The following study is even more important considering that it gives us information about Georgian voters. Collected data can be used in political activities, as in other aspects of social life.

Key words: *hate speech, gender equality, politics of inclusion, social dominant orientation, patriarchy.*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

„სიბნელე ვერ განდევნის სიბნელეს, მხოლოდ სინათლეს შეუძლია ამის გაკეთება. სიძულვილს ვერ განდევნის სიძულვილი, მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ეს“

– მარტინ ლუთერ კინგი

სიძულვილის ენა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. დღესდღეობით მისი გავრცელების ინტენსივობაზე გავლენას, ერთი მხრივ, სოციალური ქსელები ახდენს, რადგან ეს პლატფორმები უზრუნველყოფენ სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებების გლობალურად, შეუფერხებლად, რამდენიმე წამში გავრცელებას. ამ პლატფორმებს იყენებს ყველა, როგორც ფორმალური (მაგალითად, პოლიტიკოსები, ოფიციალური პირები), ისე არაფორმალური სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი აზრის გამოხატვით ვირტუალურად ესხმიან თავს თავიანთ მოწინააღმდეგეებს (Neshkovska & Trajkova, 2017). მეორე მხრივ, სიძულვილის ენის გავრცელებას შესაძლოა, ხელს უწყობდეს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთი მახასიათებელი – სიტყვის გამოხატვის თავისუფლება. სიძულვილის ენასა და სიტყვის თავისუფლებას შორის მკაფიო საზღვრის გავლება აუცილებელია.

მთავარი კითხვა, რომელიც ჩნდება სიძულვილის ენის განხილვისას არის ის, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში სიძულვილის ენა. შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ სიძულვილის ენა არის კომპლექსური, უაღრესად სადავო ფენომენი და დღემდე არ არსებობს მისი საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ყველაზე მარტივი განმარტების მიხედვით, სიძულვილის ენა არის ნებისმიერი გამოსვლა, რომელიც შეურაცხყოფს სხვებს (Lewis, 2012). კიდევ ერთი უფრო ფართო განმარტება სიძულვილის ენას წარმოაჩენს, როგორც მეტყველებას, რომელიც დამამცირებელია გარკვეული სქესის, რელიგიის, რასისა და სექსუალური ორიენტაციისთვის (Lewis, 2012). სიძულვილის ენის შესახებ ყველაზე ხშირად ციტირებული დეფინიცია ევროპის საბჭოს მიერ არის შემოთავაზებული. ევროპის საბჭოს თანახმად, სიძულვილის ენის ტერმინი მოიცავს ,,გამონათქვამის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან სიძულვილის სხვა ფორმებს შეუწყნარებლობაზე დაყრდნობით, მათ შორის: აგრესიული ნაციონალიზმით და ეთნოცენტრიზმით გამოხატული შეუწყნარებლობა, დისკრიმინაცია და

ISSN2667-9825(online)

უმცირესობების მიმართ მტრობა, მიგრანტების და იმიგრანტი წარმოშობის ადამიანების მიმართ შეუწყნარებლობა“.[2]

ცხადია, სიძულვილის ენის გამოყენებას ვხვდებით მაშინ, როდესაც ერთ ადამიანს მისი საპირისპირო შეხედულებების მქონე ადამიანის დამცირების ან/და დემონიზაციის სურვილი უჩნდება, ასევე მაშინ, როდესაც ერთ ადამიანს სურს სხვა ადამიანებით მანიპულირება, რათა მიაღწიოს გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს. ადამიანები, რომლებიც თავიანთ შეხედულებებს სიძულვილის ენით ავრცელებენ ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც შიდა ჯგუფები. შიდა ჯგუფების მთავარი საზრუნავი კონკრეტული სოციალური განსხვავებების (რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა) პოლიტიზება, სხვების ნეგატიური ტერმინებით დახასიათებაა. მათი ამგვარი ქცევის ერთ-ერთი დამაჯერებელი ახსნა შემდეგია: ისინი გრძნობენ საფრთხეს და სამუშაო ადგილების, სოციალური სტატუსის, ძალაუფლების, ავტორიტეტის და ა.შ. დაკარგვის ეშინიათ (Neshkovska & Trajkova, 2017). იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან ხშირად სიძულვილის ენა რაიმე იდეოლოგიის გავრცელებასა და მასების დარწმუნებას ემსახურება, მისი მქადაგებლები, როგორც წესი, გავლენიანი ადამიანები არიან, ისინი, ვისაც პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ სიძულვილის ენას ხშირად პოლიტიკოსები იყენებენ.

აჯანისა და მისი კოლეგების (Ajani et al., 2019) მიერ ჩატარებულმა კვლევამ შეისწავლა სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებების გავლენა ამომრჩევლების მიერ კანდიდატის არჩევაზე კუარას შტატში (ნიგერია). კვლევის მიზანი იყო შეესწავლა, თუ რა გავლენას ახდენდა სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებების გამოყენება კანდიდატების მიერ, ერთი მხრივ, ამომრჩევლების მიერ მათ აღქმაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამომრჩევლების მიერ კანდიდატის არჩევაზე. კვლევის კითხვებზე საპასუხოდ მკვლევრებმა გამოიყენეს აღწერითი სტატისტიკა – პროცენტულობა, საშუალო და სტანდარტული გადახრა. შედეგებმა ცხადყო, რომ სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებების გამოყენება რესპონდენტთა უმეტესობას (72%) უარყოფითად უცვლიდა დამოკიდებულებას პოლიტიკური კანდიდატის მიმართ. ქცევაზე გავლენის მიხედვით კი შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმეტესობას (82%) კანდიდატის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებამ არჩევანი ერთი კანდიდატიდან მეორეზე შეაცვლევინა.

სიძულვილის ენისადმი მიმღებლობას დარგობრივი ლიტერატურის ნაწილი სოციალურ დომინანტურ ორიენტაციას უკავშირებს (Bilewicz et al., 2015). სოციალური

[2] Council of Europe. Committee of Ministers. Recommendation 97(20) on “hate speech”. October 30,1997.

ISSN2667-9825(online)

დომინანტური ორიენტაციის მქონე ადამიანებისთვის მისაღებია საზოგადოებაში იერარქიულობა, გარკვეული ჯგუფის დომინირება სხვა ჯგუფებზე. მათ მიერ სამყარო აღიქმება როგორც კონკურენტუნარიანი გარემო, რაც ინდივიდებს უბიძგებს, იბრძოლონ ძალაუფლებისა და სხვებზე კონტროლის მოპოვებისთვის, მოიქცნენ პირადი სარგებლის გათვალისწინებით. ბილევიჩისა და მისი კოლეგების (Bilewicz et al., 2015) კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სოციალური დომინანტური ორიენტაციის შესწავლა. კვლევის ფარგლებში ადგენდნენ სოციალური დომინანტური ორიენტაციის ხარისხობრივ განსხვავებებს ინდივიდებს შორის, იმის მიხედვით, თუ რამდენად უჭერდნენ ისინი მხარს ცრურწმენების სიძულვილის ენით გამოხატვის აკრძალვას. კვლევის მონაწილეებს წარუდგინეს, ერთი მხრივ, სოციალური დომინანტური ორიენტაციის სკალა, ხოლო, მეორე მხრივ, უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის მაგალითების ჩამონათვალი. ყოველი მაგალითის შემდეგ მონაწილეებს ჰკითხეს, რამდენად დაუჭერდნენ მხარს ასეთი განცხადების საჯაროდ გამოხატვის აკრძალვას. შედეგებმა ცხადყო, რომ მონაწილეები, რომლებსაც მაღალი ქულები ჰქონდათ სოციალური დომინანტობის მიხედვით, ნაკლებად მიდრეკილნი იყვნენ უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის შემცველი განცხადებების აკრძალვისკენ. მიღებული შედეგები შეესაბამება თეორიულ მოლოდინებს: მაღალი იერარქიული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები გამოხატავენ უფრო მეტ ცრურწმენას უმცირესობების მიმართ და უფრო ტოლერანტულები არიან მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებისადმი (Ducitt, 1992; Pratto et al., 1994).

სიძულვილის ენის აღქმისას სამიზნე ჯგუფის წევრობა (აქ: როდესაც ინდივიდი იმ ჯგუფის წევრია, რომელსაც მიემართება სიძულვილის ენა, სამიზნე ჯგუფი არის სიძულვილის ენის ობიექტი) გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ვოჯაკისა და მისი კოლეგების (Wojatzki et al., 2018) კვლევაში სიძულვილის ენის აღქმა დაკავშირებულია სქესის ფაქტორთან. კვლევის ფარგლებში შექმნილი იყო FEMHATE – მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავდა ქალებისადმი მიმართულ 400 მტკიცებას. შემდგომში 40 ქალი და 40 კაცი აფასებდა, ერთი მხრივ, რამდენად სიძულვილის შემცველი იყო ეს მტკიცებები და, მეორე მხრივ, ეთანხმებოდნენ თუ არა ისინი ამ მტკიცებებს. შედეგების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ სიძულვილის ენის გამოხატვის უკიდურეს შემთხვევებში (მაგალითად, „ქალები უუნაროები და ზედმეტად სულელები არიან“) მნიშვნელობა არ ჰქონდა მტკიცებას, ქალები აფასებდნენ თუ კაცები. რაც შეეხება სიძულვილის ენის გამოხატვის ნაკლებად ექსტრემალურ ფორმებს (მაგალითად, „ფემინისტები არიან კაცების მოძულე ქალები, რომლებსაც ცხოვრებაში ბედნიერება არ ჰქონიათ“), ასეთ მტკიცებებს ქალები უფრო მეტად აფასებდნენ როგორც სიძულვილის შემცველს. ქალების და კაცების მიერ შეფასების ქულებში ყველაზე დიდი სხვაობა ისეთ დებულებებში ვლინდებოდა,

ISSN2667-9825(online)

რომლებიც ეხებოდა სოციალურ-პოლიტიკურ თემებს, ქალებისთვის სამხედრო სამსახურის მოთხოვნებს, აქტივისტი ქალების დაკნინებას, გენდერულ თანასწორობას, ქალის სამუშაო ადგილების შეფასებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევამ მიზნად დაისახა გამოევლინა, თუ რა გავლენა აქვს სიძულვილის ენის გამოყენებას პოტენციური ამომრჩევლის გადაწყვეტილების მიღებაზე – მიანიჭებს თუ არა პრიორიტეტს პოტენციური ამომრჩეველი კონკრეტულ მიმართვას, რომელშიც წარმოდგენილია სიძულვილის ენის ელემენტები. კვლევის ფარგლებში ვლინდება, რა ხარისხითაა მისაღები ამომრჩევლებისთვის (რესპონდენტებისთვის) სიძულვილის ენის შემცველი პოლიტიკური მიმართვის გამოყენება. ამასთან ერთად, მოცემული კვლევის მიზანია, გაარკვიოს, თუ რა ზეგავლენა აქვს ამ მიმღებლობაზე ისეთ ცვლადებს, როგორიცაა ასაკი, სქესი და გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ დამოკიდებულება.

მოცემული კვლევის ამოცანაა შეამოწმოს ზემოხსენებულ საკვლევ ცვლადებს შორის სტატისტიკური კავშირები. გარდა ამისა, კვლევითი ჯგუფი მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ცდილობს, პასუხები გასცეს კვლევის პროცესში გამოვლენილ სხვადასხვა კითხვას.

კვლევის ჰიპოთეზები

N1: პოლიტიკურ მიმართვებში სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი.

N2: ინდივიდის სოციალური დომინანტური ორიენტაციის ზრდასთან ერთად იზრდება მისი მიმღებლობა სიძულვილის ენის მიმართ.

N3: პოლიტიკურ მიმართვებში სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ ქალების დამოკიდებულება უფრო უარყოფითია, ვიდრე კაცების.

N4: პოლიტიკურ მიმართვებში სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ ასაკოვანი ადამიანების (52-67 წელი) დამოკიდებულება უფრო დადებითია, ვიდრე შუა ხნისა (36-51 წელი) და მოზრდილი (20-35 წელი) ინდივიდებისა.

ISSN2667-9825(online)

კვლევის მეთოდები

შერჩევა

მონაცემები შეგროვებულ იქნა არაალბათური (ხელმისაწვდომი) შერჩევის საფუძველზე. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 120 რესპონდენტი სხვადასხვა დემოგრაფიული (ასაკი, სქესი) და ფსიქოგრაფიული (დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ) მახასიათებლის მიხედვით. თითოეული დემოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით კვლევის სუბიექტთა რაოდენობა დაბალანსდა. წინამდებარე კვლევაში გამოიყო სამი ასაკობრივი და ორი სქესის მიხედვით კატეგორია: კატეგორია (ა) 20-35 წელი (ქალი – N=20, კაცი – N=20); კატეგორია (ბ) 36-51 წელი (ქალი – N=20, კაცი – N=20); კატეგორია (გ) 52-67 წელი (ქალი – N=20, კაცი – N=20).

პროცედურა

კვლევა ეყრდნობა მონაცემებს, რომლებიც შეგროვებულ იქნა თვითადმინისტრირებადი კითხვარის საშუალებით. მონაცემთა შეგროვებისთვის კვლევა იყენებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდს – გამოკითხვას. გამოკითხვას ერთჯერადი ხასიათი აქვს. მას შემდეგ რაც რესპონდენტები გამოთქვამდნენ კვლევაში მონაწილეობის სურვილს, მათ გაეგზავნებოდათ ანკეტის ელექტრონული ვერსია (წარმოდგენილი Google forms-ში).

კვლევის კითხვარი სტრუქტურირებული ხასიათისაა: რესპონდენტებს კითხვარის ინსტრუქცია და დებულებები ერთი და იმავე თანმიმდევრობით მიეწოდებოდათ. კითხვარის პირველი ნაწილი კვლევის სუბიექტს აცნობდა ინსტრუქციას (იხილეთ დანართი ა).

ამის შემდეგ რესპონდენტებს წარედგინებოდათ სამი კონკრეტული მიმართვა შემდეგი თანმიმდევრობით – მიმართვა N1 (სიძულვილის ენის ელემენტების შემცველი); მიმართვა N2 (ნეიტრალური), მიმართვა N3 (პოზიტიური, მასში მხარდაჭერილია გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის იდეა). მას შემდეგ, რაც თითოეულ მიმართვას გაეცნობოდნენ, რესპონდენტებს მათთვის უნდა მიენიჭებინათ პირველი, მეორე ან მესამე ადგილი იმის მიხედვით, თუ რამდენად მოსწონდათ და რამდენად აპირებდნენ მისთვის ხმის მიცემას. საყურადღებოა, რომ თუ მიმართვა N1-ს რესპონდენტი მიანიჭებდა პირველ ადგილს (ციფრი 1-ის მონიშვნით), მიმართვა N2-ს იმავე ადგილს (შესაბამისად, იმავე ციფრს) ვერ მიანიჭებდა.

ISSN2667-9825(online)

მას შემდეგ, რაც რესპონდენტები მოახდენდნენ აღნიშნული მიმართვების რანჟირებას კითხვარის შემდეგ ნაწილში, ისინი უთითებდნენ ინფორმაციას თავიანთი ასაკისა და სქესის შესახებ.

ბოლოს რესპონდენტები ავსებდნენ სოციალური დომინანტობის ორიენტაციის სკალის (SDO) ქვესკალას, რომელიც უფრო დეტალურად აღწერილია ინსტრუმენტის ნაწილში. კვლევითი ჯგუფის მიერ მონაცემები დამუშავებულ იქნა IBM SPSS-ის პროგრამის მეშვეობით.

ინსტრუმენტი

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი/კითხვარი რამდენიმე ბლოკს შეიცავდა. კითხვარის პირველი ბლოკი შემუშავებული იყო კვლევითი ჯგუფის მიერ. ეს ნაწილი მოიცავს სამ კონკრეტულ მიმართვას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაარსის, კერძოდ, მიმართვაში სიძულვილის ენის ელემენტების არსებობის მიხედვით (იხილეთ დანართი ბ).

მიმართვა N1 შეიცავს სიძულვილის ენის ელემენტებს, რომელიც მიმართულია გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ: დისკრიმინაციული ტერმინი მიემართება ქალისა და კაცის სქესთან დაკავშირებულ როლს. სქესთან დაკავშირებული გენდერული როლები არის ის როლები, რომლებსაც კაცები და ქალები ასრულებენ თავიანთი ბიოლოგიური სქესის შესაბამისად. გენდერული როლი ეფუძნება ინდივიდების, ჯგუფებისა და საზოგადოებების განსხვავებულ მოლოდინებს, რაზეც დიდ გავლენას ახდენს თავად საზოგადოების ღირებულებები და შეხედულებები გენდერის შესახებ (Blackstone, 2003).

მიმართვა N2 არის ნეიტრალური ხასიათის, ესე იგი, ა) მასში არ არის წარმოდგენილი სიძულვილის ენის ელემენტები გენდერული თანასწორობის იდეის შესახებ; ბ) აქ არ ვხვდებით, ასევე, გენდერული თანასწორობის იდეის წახალისებასა და მხარდაჭერას; ეს მიმართვა ძირითად აქცენტს წარსულ მიღწევებზე აკეთებს.

მიმართვა N3 კი პოზიტიურია. მასში წარმოდგენილი შინაარსი მხარს უჭერს გენდერული თანასწორობის იდეასა და, ზოგადად, ინკლუზიას, მრავალფეროვნებას, ხაზს უსვამს თითოეული ინდივიდის მნიშვნელობას, მიუხედავად მისი სქესობრივი იდენტობისა. ეს მიმართვა აქცენტს აკეთებს – სამართალი ყველასათვის – პრინციპზე.

მოცემული პოლიტიკური მიმართვები შედგა იმ რეალურ მიმართვებზე, რაც გაჟღერებულა საქართველოს მასშტაბით, ე.ი. პოლიტიკოსების კომენტარებზე დაყრდნობით, რომლებიც გაჟღერებულ იქნა წინასაარჩევნო თუ შემდგომ პერიოდში.

ISSN2667-9825(online)

კვლევის ინსტრუმენტის შემდეგი ბლოკი მოიცავს დემოგრაფიულ მონაცემებს – ასაკსა და სქესს. შევსებისას თითოეულმა რესპონდენტმა უნდა მიუთითოს მისი შესაფერისი ასაკობრივი კატეგორია და სქესი.

კითხვარის შემდეგი ბლოკი კი უშუალოდ იძლევა ინფორმაციას კვლევის სუბიექტთა დამოკიდებულების – გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ – დადებითია ეს დამოკიდებულება (მხარს უჭერენ ამ იდეას) თუ უარყოფითი (არ უჭერენ მხარს ამ იდეას). ამისთვის, კვლევითი ჯგუფი ხელმძღვანელობს სოციალური დომინანტობის ორიენტაციის სკალის ერთ-ერთი ქვესკალის მიხედვით (იხილეთ დანართი გ). საკუთრივ, სოციალური დომინანტობის ორიენტაციის სკალა შემუშავებულ იქნა სიდანიუსისა და პრატოს მიერ (Sidanius, Pratto, 1994). სკალით იზომება შემდეგი, თუ რამდენად უჭერს მხარს ინდივიდი ჯგუფზე დაფუძნებულ იერარქიას და მაღალი სტატუსის ჯგუფების დაბალი სტატუსის ჯგუფებზე დომინირებას. წინამდებარე კვლევა კი იყენებს აღნიშნული სკალის ქვესკალას, რომელიც ქართულად არის ხელმისაწვდომი. სკალას აქვს მისაღები შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი (α = 0.84), რაც გულისხმობს, რომ მისი ყველა დებულება ერთსა და იმავე ცვლადს ზომავს.

კონკრეტული ქვესკალა მოიცავს მტკიცებების სახით ფორმულირებულ ექვს დებულებას. დებულებები წარმოდგენილია ლაიკერტის ტიპის ცხრაბალიან სკალაზე (-4 – უკიდურესად არ ვეთანხმები, 4 – უკიდურესად ვეთანხმები). პასუხების დაფიქსირება ხდება ხარისხობრივად, რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან, მისაღებია ან არ არის მისაღები ინდივიდისთვის ის, რაც დებულებაშია წარმოდგენილი. რესპონდენტის დამოკიდებულების შესაფასებლად, თითოეული დებულებისთვის მინიჭებული ქულა დაჯამებულ იქნა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვესკალა მოიცავს შებრუნებულ, ე.წ. რევერსირებულ დებულებებს – მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დებულება. შებრუნებული დებულებების რეკოდირება ხდება შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით: -4 → 4; -3 → 3; -2 → 2; -1 → 1; 1 → -1; 2 → -2; 3 → -3; 4 → -4. საბოლოოდ, ჩვენ ვანგარიშობთ პირდაპირი და შებრუნებული დებულებების ქულათა ჯამს.

შედეგები

კვლევის შედეგების ანალიზის პირველ ეტაპზე ჩავატარეთ აღწერითი ანალიზი. სიძულვილის ენისადმი დამოკიდებულება მთლიან შერჩევაში ასე გამოიყურება: ჩვენი შერჩევის ნახევარზე ოდნავ მეტისთვის (50.8%) სიძულვილის ენის შემცველი გამოსვლა მესამე ადგილზე ფასდება. შერჩევის თითქმის მეოთხედი (26.7%) სიძულვილის ენის

ISSN2667-9825(online)

შემცველ ტექსტს უპირატესობას ანიჭებს და პირველ ადგილზე აყენებს. შერჩევის მცირე ნაწილი (22.5%) კი სიძულვილის ენის შემცველ ტექსტს მეორე ადგილს მიაკუთვნებს. შესაბამისად, კვლევის პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ ნეიტრალურ ტექსტს შერჩევის თითქმის ნახევარი (46,5%) აყენებს მეორე ადგილზე, რაც ნიშნავს, რომ ამ ტექსტის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება უმეტესად ნეიტრალურია. რაც შეეხება გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტს, შერჩევის მესამედზე მეტი (42.5%) მას პირველ ადგილზე აყენებს, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ტექსტის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულება უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი.



ტექსტების არჩევაში ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოსავლენად გამოვიყენეთ არაპარამეტრული სტატისტიკის საზომები, კერძოდ, სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი. ასაკსა და სიძულვილის ენის შემცველი ტექსტის არჩევას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია ფიქსირდება (r (118) = - . 369, p = .000): რაც უფრო მაღალია რესპონდენტების ასაკი, მით უფრო პირველ პოზიციაზე გაჰყავთ ეს ტექსტი. მონაცემთა გაანალიზების შემდეგ ეტაპზე ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოსავლენად გამოყენებული იყო one way ANOVA. აღმოჩნდა, რომ ერთი მხრივ, ასაკოვანი ადამიანების დამოკიდებულება უფრო დადებითია სიძულვილის ენის შემცველი მიმართვისადმი, ვიდრე მოზრდილი ადამიანების დამოკიდებულება ამავე ტექსტის მიმართ. თუმცა, მეორე მხრივ, არ განსხვავდება ასაკოვანი ადამიანებისა და შუახნის ადამიანების დამოკიდებულება სიძულვილის

ISSN2667-9825(online)

ენის გამოყენების მიმართ. შესაბამისად, კვლევის მეოთხე ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა.

რაც შეეხება გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტს, ასაკსა და ამ ტექსტის არჩევას შორისაც ვხვდებით სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციას (r(118) = . 263, p = .004): რაც უფრო დაბალია რესპონდენტების ასაკი, მით უფრო პირველ პოზიციაზე გაჰყავთ ეს ტექსტი. რაც შეეხება ჯგუფებს შორის განსხვავებებს, მოზრდილი ადამიანებისგან გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტი უფრო დადებით შეფასებას იმსახურებს, ვიდრე ასაკოვანი ადამიანებისგან. თუმცა, მოზრდილი ადამიანების და შუახნის ადამიანების დამოკიდებულება, ასევე შუახნის ადამიანების და ასაკოვანი ადამიანების დამოკიდებულება ამ ტექსტის მიმართ არ განსხვავდება.

ნეიტრალური ტექსტის არჩევასა და ასაკს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია არ ფიქსირდება (r(118) = . 112, p = .223), რაც ნიშნავს, რომ რესპონდენტის ასაკი გავლენას არ ახდენს ნეიტრალური ტექსტის არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

მაღალი და დაბალი სოციალური დომინანტობის მქონე ინდივიდების მიერ ტექსტების არჩევისას გამოვლენილი განსხვავებების შესაფასებლად კვლავ გამოვიყენეთ სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი. კორელაცია სოციალური დომინანტობის ორიენტაციის ქულასა და სიძულვილის ენის შემცველი ტექსტის არჩევას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: r(118)= -. 387, p = .000: რაც უფრო მაღალია რესპონდენტების სოციალური დომინანტობის ქულა, მით უფრო პირველ პოზიციაზე აყენებენ ისინი სიძულვილის ენის შემცველ ტექსტს. ეს ნიშნავს შემდეგს: სოციალური დომინანტური ორიენტაციის მქონე ადამიანებისთვის მისაღებია სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკურ მიმართვებში. შესაბამისად, კვლევის მეორე ჰიპოთეზა დადასტურდა. გარდა ამისა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კორელაცია სოციალურ დომინანტობასა და გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტის არჩევას შორის: r(118) = 0.483, p= .000. რაც უფრო დაბალია რესპონდენტების სოციალური დომინანტობის ქულა, მით უფრო პირველ პოზიციაზე აყენებენ ისინი გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტს. ეს გულისხმობს შემდეგს: ადამიანებს, რომლებსაც არ ახასიათებთ სოციალური დომინანტური ორიენტაცია, მოსწონთ გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკა.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება ქალებისა და კაცების სოციალური დომინანტობის ქულებს შორის (t(118)= -3.797, p<0.05). ქალების სოციალური დომინანტობის ორიენტაცია უფრო დაბალია (M2= -17.08,), ვიდრე კაცების

ISSN2667-9825(online)

(M1= -10. 12), რაც ნიშნავს, რომ კაცები მეტად უჭერენ მხარს მაღალი სტატუსის ჯგუფების დაბალი სტატუსის ჯგუფებზე დომინირებას.

მონაცემთა დამუშავებისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დაფიქსირდა სოციალური დომინანტობის ქულასა და ასაკს შორის: r(118) = 0.265, p= .003. კორელაციის დადებითი კოეფიციენტი აღნიშნავს, რომ რაც უფრო იზრდება ინდივიდის ასაკი, მით უფრო იზრდება მისი სოციალური დომინანტური ორიენტაცია.

მონაცემთა დამუშავების შემდეგ ეტაპზე ერთმანეთს შედარდა კაცებისა და ქალების ჯგუფი ტექსტებისთვის ადგილების მინიჭების მიხედვით დამოუკიდებელი შერჩევის t კრიტერიუმის საშუალებით. შედეგები ასეთია: მართალია, კაცები სიძულვილის ენის გამომხატველ ტექსტს უფრო მაღალ პოზიციაზე აყენებენ (M1=2.17), ვიდრე ქალები (M2=2.32), მაგრამ ეს განსხვავება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (t(118)=-.966, p>0.05). ეს ნიშნავს, რომ სიძულვილის შემცველი ტექსტის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებაზე გავლენას არ ახდენს რესპონდენტის სქესი, შესაბამისად, კვლევის მესამე ჰიპოთეზა არ დადასტურდა. იგივე სურათია სახეზე ნეიტრალური და გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტების არჩევის შემთხვევაშიც. რესპონდენტის სქესი ასევე არ ახდენს გავლენას მის გადაწყვეტილებაზე ნეიტრალური ტექსტის ან გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტის არჩევის დროს.

მონაცემთა დამუშავებისას თავს იჩენს საინტერესო კანონზომიერება. აღმოჩნდა, რომ კაცების შემთხვევაში ასაკი სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციაში არ არის სიძულვილის ენის შემცველი (r (118) = -.209, p = .110) ან გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე (r (188) = .214, p = .100) ტექსტის არჩევასთან. ეს ნიშნავს, რომ კაცი რესპონდენტების შემთხვევაში, ტექსტების არჩევაზე გავლენას ასაკი არ ახდენს. ქალების შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია ფიქსირდება როგორც ასაკსა და სიძულვილის ენის შემცველი ტექსტის არჩევას (r (118) = -. 545, p = .000), ისე ასაკსა და გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტის არჩევას (r (118) = .316, p = .014). ეს ნიშნავს შემდეგს: ქალი რესპონდენტების შემთხვევაში, ტექსტების არჩევაზე გავლენას ასაკი ახდენს.

დისკუსია

შედეგების ნაწილში ჩვენ ვნახეთ, რომ კვლევის პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა – პოლიტიკურ მიმართვებში სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უფრო მეტად უარყოფითია, ვიდრე დადებითი. აქ ჩვენ დავინტერესდით, თუ რატომ არის ეს ასე. საინტერესოა, რატომ მიიჩნიეს

ISSN2667-9825(online)

ინდივიდებმა ნეიტრალური და დადებითი შინაარსის მქონე ტექსტი აღნიშნულ კვლევაში უპირატესად და იყო ეს მხოლოდ შეზღუდული არჩევანის შედეგი თუ არა. ამასთან ერთად, გამოვლინდა, რომ დადებითი შინაარსის მქონე ტექსტი უფრო მეტი მოწონებით გამოირჩვა, ვიდრე ნეიტრალური.

იმის გასარკვევად, თუ რატომ ფიქსირდება ეს მონაცემები, ჩვენ გადავხედეთ ქართველ პოპულაციაზე ჩატარებულ კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის (CRRC) კვლევას – „სიძულვილის დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: დამოკიდებულებები და ცნობიერება“. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია, გამოვყოთ ორი წანამძღვარი სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ ქართული ცნობიერებისა და დამოკიდებულების შესახებ. როგორც ვლინდება, ტიპურმა ქართველმა ადამიანმა იცის, რომ არაკანონიერია სიძულვილის ენის გამოყენება, თუმცა, ისურვებდა, რომ ეს ასე არ ყოფილიყო და მიიჩნევს, რომ თითოეული ინდივიდი ამ ტიპის პრობლემას დამოუკიდებლად უნდა გაუმკლავდეს. ეს მტკიცება ხსნის, თუ რატომ აყენებს ჩვენს კვლევაში კვლევის რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (50.8%) სიძულვილის ენის შემცველ მიმართვას მესამე ადგილას, რამეთუ მან უწყის სამართლებრივი ვალდებულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ამას აკეთებს იმის გამო, რომ თავიდან აიცილოს პოტენციური სასჯელი. მისი ეს ქმედება ზედაპირული ქცევის ხასიათისაა. ასეთ ქცევებს რიტუალიზმი ეწოდება.

შესაძლოა, ეს შედეგი სოციალური სასურველობის ფენომენის გამოც დადგა. ესაა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ადამიანები საკუთარ თავს უკეთესად წარმოაჩენენ. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ, გარანტირებული კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, კვლევის მონაწილეთა გარკვეულ ნაწილს ახასიათებს სოციალური სასურველობის ტენდენცია და, შესაძლოა, ისინი სიძულვილის ენის შემცველი მიმართვის მესამე ადგილზე დაყენებით პოტენციურ სოციალურ გარიყვას ირიდებდნენ თავიდან, რაც შესაძლოა, მივიჩნიოთ სასჯელის ერთ-ერთ ფორმად.

რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ცნობილია შემდეგი, რომ სოციალური დომინანტობის ზრდასთან ერთად იზრდება სიძულვილის ენისადმი მიმღებლობა, სოციალური დომინანტობის კლებასთან ერთად იზრდება გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მიმღებლობა.

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, რომ მიმართვა N 1-ში სიძულვილის ენა მიმართულია გენდერული უმცირესობის წარმომადგენლებისკენ. გენდერულ უმცირესობაში იგულისხმებიან ქალები და ქვიარ თემის წარმომადგენელი ჯგუფები (ადამიანები, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალად

ISSN2667-9825(online)

არ მიიჩნევენ და ურჩევნიათ რაიმე იარლიყის მიხედით კატეგორიზებულნი არ იყვნენ). აქედან გამომდინარე ვსვამთ 2 მთავარ კითხვას: ა)რატომ იზრდება სოციალური დომინანტური ორიენტაციის ზრდასთან ერთად სიძულვილის ენისადმი მიმღებლობის ხარისხი და ბ)განაპირობა თუ არა ეს შედეგი ორი განსხვავებული იდეოლოგიის დაპირისპირებამ?

თავდაპირველად, საჭიროა, გავარკვიოთ, თუ რა განაპირობებს სოციალური დომინანტური ორიენტაციის ზრდას საქართველოში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალური დომინაცია მიმდინარეობს გენდერული ნიშნის მიხედვით, რაც უკვე განვიხილეთ. გენდერული ნიშნის მიხედვით დომინაცია პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ჰომოფობიურ განწყობილებას.

ქართველი პოპულაციის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ლგბტქ+ თემის მიმართ ვლინდება იმავე კვლევაში (CRRC). სხვა შედეგებთან ერთად გამოვლინდა, რომ ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქვიარ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, გაცილებით ნაკლებია იმ პირების რაოდენობაზე, ვინც ამ აზრს არ ეთანხმება. ე.ი., როგორც ამას კავკასიის კვლევის რესურს ცენტრი ამბობს, ქვიარ ადამიანების მიმართ არსებული განწყობილებები უარყოფითია და, მეტიც, ნებისმიერი სხვა ჯგუფის მიმართ არსებულ განწყობილებებზე მეტად უარესიც. საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ლგბტქ+ სტატუსის მქონე ადამიანები „კულტურასა და ტრადიციებს უქმნიან საფრთხეს“ (CRRC, 2018). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსერვატიზმი არის სულისჩამდგმელი იმ ვნებათაღელვისა, რომელიც ლგბტქ+ თემის წინააღმდეგ არსებობს. ჰომოფობიურ განწყობილებებს ტრადიციების დაკარგვის შიში კვებავს.

აქ აღვნიშნავთ, რომ კვლევები სოციალური დომინანტობისა და კონსერვატიზმის ორმხრივ კავშირს ადასტურებს: ერთის ზრდა სტატისტიკურად სანდო ალბათობით რეციპროკული დეტერმინიზმის პრინციპით განაპირობებს მეორის ხარისხის ზრდასაც (Sibley, Robertson & Wilson, 2006).

შეგახსენებთ, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული სოციალური დომინანტური ორიენტაციის ქვესკალა იმგვარად იყო ადაპტირებული, რომ იგი ყურადღებას ამახვილებდა ერთი სოციალური ჯგუფის მიმართ არსებულ სოციალურ მოლოდინებზე და როლებზე დაყრდნობილი შესაძლებლობების განხილვას მეორე სოციალური ჯგუფის მიმართ, რაშიც მოიაზრებოდნენ სწორედ ზემოაღნიშნული უცმირესობების (ქალები, ლგბტქ+ თემი) წარმომადგენელი ინდივიდები. აღნიშნული მსჯელობა პასუხს სცემს ჩვენ მიერ დასმულ კითხვას, თუ რა განაპირობებს სოციალური დომინანტური ორიენტაციის არსებობას ქართულ მოსახლეობაში. პასუხი შემდეგია – ესაა „კულტურა და ტრადიციები“, ქართული კონსერვატიზმი.

ISSN2667-9825(online)

ჩვენი შემდეგი კითხვაა, თუ რატომ იზრდება სოციალური დომინანტური ორიენტაციის ზრდასთან ერთად სიძულვილის ენისადმი მიმღებლობის ხარისხი. რადგანაც ჩვენ მიერ გამოყენებული სიძულვილის ენა მიმართული იყო ზემოხსენებული უმცირესობის ჯგუფების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი კონსერვატიზმია. როგორც ვახსენეთ, სოციალური დომინანტობა და კონსერვატიზმი ურთიერთგანპირობებული ცვლადებია, რაც ნიშნავს, რომ კონსერვატიზმის ზრდა განაპირობებს მომატებულ სოციალურ დომინანტობას. საქართველოში კონსერვატიული ღირებულებები კი ტრადიციების შენახვას უკავშირდება, ტრადიციების შენახვა – ჰომოფობიურ განწყობილებას. ე.ი., რაც უფრო მეტად კონსერვატიულია ინდივიდი, მით უფრო მეტად იზრდება ალბათობა იმისა, რომ ექნება ჰომოფობიური განწყობილებები და გამოავლენს სიძულვილის ენას ამ თემის წინააღმდეგ.

საყურადღებოა, რომ ჩვენ მიერ მოხსენებულ უმცირესობათა ჯგუფებში, გარდა ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი ინდივიდებისა, მოიაზრებიან ქალებიც. ჩვენს კვლევაში გამოვლინდა, რომ სოციალური დომინაციის ხარისხი ქალებთან უფრო დაბალია, ვიდრე კაცებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის ერთმნიშვნელოვანი ახსნა არ არსებობს, თუმცა აქაც შესაძლებელია რამდენიმე ვარაუდის განხილვა.

როგორც ეს კავკასიის კვლევითი ცენტრის კვლევაში ვნახეთ, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც აფასებს კულტურასა და ტრადიციებს. კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველო უფრთხილდება რელიგიასა და აღმსარებლობას. საინტერესოა, თუ როგორ უკავშირდება რელიგია სოციალურ დომინანტობას (გარდა იმისა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი, შესაძლოა, თავისთავად დომინანტად ითვლებოდეს, ვინაიდან ქვეყანაში ყველაზე მეტი აღმსარებელი ჰყავს სწორედ ამ რელიგიას, რომელიც თავისთავად მასკულინური იდეების გამტარებელია)? ან საერთოდ რატომ განხვილავთ რელიგიისა და სოციალური დომინანტობის კავშირს და რა კავშირი აქვს ამას ქალებთან?!

2016 წლის საქსტატის მონაცემებით საქართველოში 83% მართლმადიდებელი ქრისტიანია, ე.ი., ქვეყანაში უმრავლესობა იზიარებს სარწმუნოებას, რომელიც მოიაზრებს პატრიარქალურ უზენაესობას – სახელმწიფოს ჰყავს პატრიარქი. სოციალურ საკითხზე რომ გავამახვილოთ ყურადღება, პატრიარქატი ესაა სოციალური სისტემა, რომელშიც კაცურობაა პრივილეგირებული და მამას (ან ოჯახში უფროს კაცს) უპირობო ძალაუფლება და ავტორიტეტი აქვს. დღესდღეობით, როლების ასეთ მარტივ დიფერენციაციას შესაძლოა, უფრო მეტად აცნობიერებდნენ ადამიანები და ქალების მასიური ემანსიპაცია არ მიმდინარეობდეს, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ბოლომდე ვერ სრულდება. ამის საპასუხოდ კონელს „პატრიარქალური დივიდენდის“ ცნება შემოაქვს,

ISSN2667-9825(online)

რაც ნიშნავს შემდეგს, რომ კაცი შეიძლება არ იყოს პირადად ქალების მჩაგვრელი და არ ეწეოდეს აგრესიულ საქმიანობას, თუმცა როგორც კაცი, იგი სარგებლობს პატრიარქატის პრივილეგიით. პროდუქტი ამ ლატენტური სუპერიორობისა ერთია – ქალები არიან აღქმულნი, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენლები და საზოგადოებაც მის მიერ მინიჭებული ამ ცრურწმენის საფუძველზე ორიენტირებს, ცხადად თუ მალულად იჩაგრება ქალი. ეს მთლიანი ეკოსისტემა კი განაპირობებს ქალების დაბალ სოციალურ დომინანტობას.

ჩვენი კვლევის შედეგებში ვნახეთ, რომ მესამე ჰიპოთეზა არ დადასტურდა – სიძულვილის ენის შემცველი მიმართვის არჩევაზე გავლენას არ ახდენს რესპონდენტის სქესი. საინტერესოა, რომ იგივე შედეგი ფიქსირდება ნეიტრალური შინაარსის მქონე ტექსტი და გენდერული ბალანსისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მომხრე ტექსტის შემთვხვევაშიც. ჩვენ დავინტერესდით, თუ რა შეიძლებლოდა, ყოფილიყო ამ გარემოების მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ სქესთა შორის აღნიშნული მიმართვების არჩევის თვალსაზრისით არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, ჩვენ მცირეოდენი სხვაობა მაინც გვაქვს სახეზე. მართალია, არასანდოდ, თუმცა ა)კაცები სიძულვილის ენის შემცველ მიმართვას უფრო მაღალ პოზიციაზე აყენებენ ვიდრე ქალები; ბ)ნეიტრალური შინაარსის მქონე მიმართვას კაცები უფრო მაღალი პოზიციით აფასებენ, ვიდრე ქალები; გ)დადებითი შინაარსის მქონე მიმართვას კი კაცები უფრო დაბალ პოზიციაზე აყენებენ, ვიდრე ქალები. ერთი მხრივ, სანამ სქესთა შორის ერთფეროვნების დეტერმინანტებზე ვისაუბრებდეთ, შეგვიძლია, დავუშვათ რომ აღნიშნული შედეგი შესაძლოა, დადგა კვლევაში არსებული შეზღუდვების გამო, რომელიც კვლევის შეზღუდვების ნაწილში უფრო დეტალურად არის განხილული.

აღსანიშნავია, რომ აზრთა მსგავსი სიახლოვე სქესთა შორის აქამდეც დაფიქსირებულა ქართველი პოპულაციის კვლევის დროს. CRRC-ის მიერ ჩატარებულ ზემოაღნიშნულ კვლევაში, როდესაც იკვლევდნენ მრავალფეროვნების მიმართ ქალებისა და კაცების დამოკიდებულებებს აღმოჩნდა, რომ ქალების 53% და კაცების 46% ამბივალენტური ან ბუნდოვანი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული საკითხის მიმართ (CRRC Georgia, 2018). შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებობს რიგი საკითხები, სადაც სქესთა შორის განსხვავებები შესაძლოა არ გამოვლინდეს.

ჩვენს კვლევაში გამოვლენილ სქესთაშორის „ერთსულოვნებას“ შესაძლოა, ჩვენი კულტურული მახასიათებლებიც განაპირობებდეს. მოგეხსენებათ, საქართველო კოლექტივისტური კულტურის მქონე ქვეყანაა. ასეთ საზოგადოებას რამდენიმე ფაქტორი აძლიერებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ზემოაღნიშნული – რელიგია, რომელიც ცდილობს, დათრგუნოს მცირეოდენი განსხვავებულობაც კი.

ISSN2667-9825(online)

რაც შეეხება კვლევის ბოლო ჰიპოთეზას, იგი ნაწილობრივ დადასტურდა – ადამიანებისთვის სიძულვილის ენის შემცველი მიმართვა უფრო მისაღები იყო, ვიდრე მოზრდილი ადამიანებისთვის, თუმცა შუახნისა და ასაკოვანი ადამიანების შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა სიძულვილის ენის შემცველი მიმართვის არჩევის კუთხით.

კვლევის შედეგების ანალიზის დროს დაფიქსირდა რამდენიმე საინტერესო კანონზომიერება, კერძოდ, კაცების შემთხვევაში ასაკი გავლენას არ ახდენს ტექსტის არჩევაზე, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ მესამე ჰიპოთეზა დადასტურდა ქალების პასუხებზე დაყრდნობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაცი რესპონდენტები ასაკის მიხედვით განსხვავებულად არ ირჩევდნენ მიმართვებს, ხოლო, ქალი რესპონდენტები, ასაკის მატებასთან ერთად უფრო მეტად ირჩევდნენ სიძულვილის ენის შემცველ მიმართვას. მონაცემებს კიდევ უფრო პარადოქსულს ხდის ის გარემოება, რომ სოციალური დომინანტური ორიენტაცია, კვლევის შერჩევაში, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება და ქალებთან უფრო დაბალია, ვიდრე კაცებთან. შესაბამისად, ვსვამთ კითხვას, ქალები, რომელთაც დაბალი სოციალური დომინანტობა აქვთ, ასაკის ზრდასთან ერთად რატომ ირჩევენ უფრო მეტად სიძულვილის ენას.

როგორც ჩანს, ჩვენი კვლევის ინსტრუმენტი აქ ორად იხლიჩება და ვიღებთ, ერთი მხრივ, სიძულვილის ენის „ტესტს“, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური დომინანტურობის „ტესტს“. არსებობს ალბათობა იმისა, რომ ჩვენს კვლევაში ჩართულმა ქალებმა ეს დავალებები ცალ-ცალკე შეასრულეს და არ გამოავლინეს თანმიმდევრულობის ტენდენცია პასუხების დაფიქსირების თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალებმა, რომლებმაც სიძულვილის ენის შემცველი მიმართვა უფრო პირველ პოზიციაზე შეაფასეს, ამის საპირისპირო პასუხები დააფიქსირეს სოციალური დომინანტობის ორიენტაციის სკალაზე. ისევ და ისევ ჩვენი კვლევის ფარგლებში რომ ვიმსჯელოთ, ეს შესაძლოა, გამოწვეული იყოს პასუხისმგებლობის დიფუზიის პრინციპის გამო. ე.ი., ქალებმა, რომლებმაც სიძულვილის ენის შემცველი მიმართვა დადებითად შეაფასეს, მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს მთლიანი ჯგუფისათვის და არა ერთი ინდივიდისთვის. მათი გადაწყვეტილება მოსაწონი იქნებოდა იმ პატრიარქალური საზოგადოებისთვის, რომელშიც კაცს ქალზე მაღალი სტატუსი აქვს. ეს მსჯელობა ეხმაურება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ არგუმენტს ქართული პოპულაციის „ერთსულოვნებასთან“ დაკავშირებით. ქალების ეს გადაწყვეტილება იყო კოლექტივისთვის გაკეთებული „სიკეთე“. სოციალური დომინანტური ორიენტაციის სკალა კი თავისთავად უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის იყო, ამ ეტაპზე რესპონდენტის მთავარი საფიქრალი იყო მათი საკუთარი პრეფერენციები და არა ჯგუფის.

ISSN2667-9825(online)

საინტერესოა, თუ რატომ იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად ქალების შემთხვევაში სიძულვილის ენის შემცველი მიმართვისთვის უფრო დადებითად შეფასების მაჩვენებელი. CRRC-ის კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ საქართველოში, ზოგადად, ორი ადამიანიდან ერთი სიძულვილის ენას პრობლემად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, უფროსი ასაკის ადამიანები (36+) შედარებით ნაკლებად მიიჩნევენ, რომ სიძულვილის ენა საქართველოში არის პრობლემური. ქალები კი ამას სხვა ჯგუფებზე მეტად ფიქრობენ. რამდენადაც უფროსი ასაკის ქალები (36+) ვერ აღიქვამენ სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ პრობლემას, იმდენად არ არსებობს მათთვის ეს უკანასკნელი. რადგანაც მათთვის არ არსებობს აღქმული სიძულვილი, მათთვის სიძულვილის ენის შემცველი მიმართვა ისეთივე ნეიტრალური იყო, როგორიც ეს ნამდვილად ნეიტრალური მიმართვა.

ახლა დროა გამოვარკვიოთ, კაცების შემთხვევაში ასაკის ზრდასთან ერთად, თუ რატომ არ დაფიქსირდა განსხვავება სიძულვილის ენის შემცველი ტექსტის არჩევის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მიუხედავად გამოვლენილი კავშირისა ასაკსა და სიძულვილის ენის არჩევას შორის, კავშირი სუსტია (r=0.36). ეს ნათელყოფს ჩვენს შემდეგ მოსაზრებას, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდის ქცევის დეტერმინანტებს. ინდივიდის ქცევაზე შესაძლოა, გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორმა. ასაკი შეიძლება არ იყოს საკმარისი ფაქტორი, იმის პროგნოზირებისთვის აირჩევს თუ არა ინდივიდი სიძულვილის ენას. ვინაიდან დამოკიდებულებები და ქცევები ყალიბდება სხვადასხვა ინდივიდუალური გამოცდილების, მაგალითად, კულტურული გავლენის, განათლებისა და პიროვნული ღირებულებების კომბინაციით. ასაკი შესაძლოა, გარკვეული პერსპექტივის ფორმირებაში თამაშობდეს როლს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ ერთი ფაქტორია მრავალთაგან, რომელიც განაპირობებს ადამიანის იდენტობას.

კვლევის შეზღუდვები და რეკომენდაციები

კვლევის შერჩევის მოცულობა მცირე იყო (N=120). ვინაიდან კვლევაში 2 სქესობრივი და 3 ასაკობრივი ჯგუფი იყო, თითოეულ ქვეჯგუფში რესპონდენტთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა (N=20). ეს რაოდენობა საკმაოდ მცირეა იმისთვის, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები გამოვლენილიყო სხვადასხვა ნიშნით განსხვავებულ ჯგუფების დამოკიდებულებებს შორის.

ასევე, კვლევის ფარგლებში ვერ გაკონტროლდა ის პირობები, რომელშიც ხდებოდა კვლევის ინტრუმენტის თვითადმინისტრირება რესპონდენტების მიერ. ამაში იგულისხმება შემდეგი, თუ დღის რომელ მონაკვეთში ავსებდნენ კვლევის

ISSN2667-9825(online)

მონაწილეები ინსტრუმენტს, როგორი იყო მათი დაღლილობის დონე ან/და ემოციური მდგომარეობა. ამ ცვლადებს შესაძლოა, გავლენა მოეხდინა როგორც ტექსტების აღქმისა და გააზრების, ასევე სკალის დებულებებისთვის პასუხების გაცემაზე.

გარდა ამისა, კვლევის ინსტრუმენტსაც ჰქონდა პრობლემები. მიმართვები, რომლებიც რესპონდენტებს უნდა აერჩიათ, კვლევითი ჯგუფის მიერ იყო შექმნილი. მართალია, ინსტრუმენტი გამოიცადა პილოტური ტესტირების ფარგლებში, თუმცა ეს არ გვაძლევს იმის მტკიცედ თქმის საშუალებას, რომ ტექსტები სიძულვილის ან გენდერული ბალანსისა და ინკლუზიური პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების ვალიდური საზომი იყო. რაც შეეხება სოციალური დომინანტობის ქვესკალას, მასში შემავალი დებულებების რაოდენობა იყო მცირე (6 დებულება). ამასთან ერთად, ჩვენ არ გვქონია ინფორმაცია ქართველ პოპულაციაზე მორგებული სკალის ნორმების შესახებ, რამაც გარკვეული პრობლემები წარმოქმნა მონაცემების დამუშავების დროს.

მომავალში მსგავსი კვლევის ჩატარებისას რეკომენდებულია შერჩევის მოცულობის გაზრდა, სულ მცირე იმ რაოდენობამდე, რომ თითოეულ ქვეჯგუფში 50 რესპონდენტი ხვდებოდეს. ასევე, უკეთესი იქნება რესპონდენტების მიერ ინსტრუმენტის თვითადმინისტირება შეძლებისდაგვარად სტანდარტიზებულ პირობებში მოხდეს. ინსტრუმენტის პრობლემის მოსაგვარებლად კი უმჯობესი იქნება მიმართვების შედგენის პროცესში ჩართულნი იყვნენ დარგის ექსპერტები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს კვლევაში სიძულვილის ენის მიმართ დამოკიდებულების სხვა ცვლადებთან კავშირის შესახებ მრავალი ვარაუდი გამოითქვა, შესაბამისად, მომავალში შესაძლოა, ინსტრუმენტში დამატებულ იყოს რელიგიურობის, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმის, კოლექტივიზმის და სხვა ცვლადების საზომები. კარგი იქნება, თუ კვლევისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტი გამრავალფეროვნდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება, იყოს განათლების დონე, კულტურა (სოციალური კონსტრუქტი), პიროვნული ნიშანი (ფსიქოლოგიური კონსტრუქტი) და ა.შ. ეს მკვლევრებს შემდგომში ამ მიმართულებით უფრო ფართო სურათის დანახვის შესაძლებლობას მისცემს.

ISSN2667-9825(online)

გამოყენებული ლიტერატურა

Ajani, S. Y., Arikewuyo, A. K., Lukuman, A. A., Muhammad, A. R., Imam, O. A., Mahamood, A. F., Manaf, A. R. A., & Hassan, J. (2021). Influence of hate speech messages on voters' choice of candidate in Kwara State 2019 gubernatorial election. *Proceedings of 8th international conference on advanced materials engineering & technology, 2347*(1). doi: 10.1063/5.0051528

Bilewicz, M., Soral, W., Marchlewska, M., & Winiewski, M. (2015). When Authoritarians Confront Prejudice. Differential Effects of SDO and RWA on Support for Hate-Speech Prohibition. *Political Psychology, 38*(1), 87–99. doi: 10.1111/pops.12313

Blackstone, A. (2003). Gender Roles and Society. Human Ecology: An Encyclopedia of Children, Families, Communities and Environments, 335-338.

Connell, R.W. (2009). Gender in World Perspective. Polity Press, Cambridge.

Duckitt, J. (1992). The social psychology of prejudice. New York, NY: Praeger.

Duckitt, J., & Sibley, C. G. (2010). Personality, ideology, prejudice, and politics: A dual-process motivational model. *Journal of Personality, 78,* 1861–1894. doi:10.1111/j.1467-6494.2010.00672.x

Lewis, M. (2012). A Cognitive Linguistics Overview of Offense and Hate Speech. *SSRN Electronic Journal.*

Neshkovska, S., & Trajkova, Z. (2017). The Essentials of Hate speech. *Teacher, 14*(1), 71-80. doi: 10.20544

Pratto, F., Sidanius, J., Stallworth, L. M., & Malle, B. F. (1994). Social dominance orientation: A personality variable predicting social and political attitudes. *Journal of Personality and Social Psychology, 67,* 741–763. doi:10.1037/0022-3514.67.4.741

Sibley, C. G., Robertson, A., & Wilson, M. S. (2006). Social dominance orientation and right-wing authoritarianism: Additive and interactive effects. *Political Psychology, 27*(5), 755–768. doi:10.1111/1467-9221.2006.00531

Wojatzki, M., Horsmann, T., Gold, D., & Zesch, T. (2018). Do Women Perceive Hate Differently: Examining the Relationship Between Hate Speech, Gender, and Agreement Judgments. *Proceedings of the 14th Conference on Natural Language Processing.*

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2018). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა.

ISSN2667-9825(online)

დანართი ა

ინსტრუქცია

წინამდებარე კვლევა ტარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამის შემადგენელი კურსის – კვლევითი ნაშრომის ფარგლებში. წინასწარ მადლობას გიხდით თქვენი დროის დათმობისა და კვლევაში მონაწილეობისთვის.

თქვენს მიზანს წარმოადგენს შემდეგი: წარმოიდგინეთ, რომ არჩევნებია. ქვემოთ მოცემული სამი ტექსტიდან თქვენი ვალია, თანმიმდევრულად დააწყოთ და მიანიჭოთ ტექსტებს პირველი, მეორე ან მესამე ადგილი იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო მოგეწონათ. პირველი ადგილის მინიჭება ნიშნავს მის არჩევას (მიმართვა თქვენთვის სასურველია). ნომრების მინიჭება ხდება მას შემდეგ, რაც სამივე ტექსტს წაიკითხავთ, ანუ კითხულობთ ყველას და შემდეგ ანიჭებთ ადგილის ნომერს.

შეგახსენებთ, რომ თუ N1 მიმართვას მიანიჭებთ პირველ ადგილს (ციფრი 1-ის მონიშვნით), N2 მიმართვას იმავე ადგილს (შესაბამისად, იმავე ციფრს) ვერ მიანიჭებთ (ფიზიკურად კი შეგიძლიათ, ეს გააკეთოთ, თუმცა თხოვნაა, რომ თითოეულ მიმართვას ადგილის განსხვავებული ნომერი მიანიჭოთ).

მას შემდეგ, რაც მიმართვებს თქვენთვის სასურველ ადგილებს მიანიჭებთ, ჯერ უპასუხეთ მოცემულ კითხვებს, შემდეგ კი დააფიქსირეთ, რამდენად ეთანხმებით წარმოდგენილ დებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ დაიცვათ კითხვარის შევსების აღნიშნული თანმიმდევრობა.

გთხოვთ, იყავით გულწრფელები, მიჰყევით ინსტრუქციას. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მიმართვა. გთხოვთ, თავდაპირველ ნუმერაციას ნუ შეცვლით, მას შემდეგ რაც დებულებებზეც დააფიქსირებთ პასუხებს.

კვლევას შეგიძლიათ, გამოეთიშოთ ნებისმიერ მომენტში. კვლევაში მონაწილეობისთვის დაგჭირდებათ 7-8 წუთი. გახსოვდეთ, რომ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები. ჩვენ მხოლოდ თქვენი აზრი გვაინტერესებს.

ISSN2667-9825(online)

დანართი ბ

მიმართვები

N1 მიმართვა

ქალბატონებო და ბატონებო, დღეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, რამეთუ სწორედ ეს დღე გადაწყვეტს ჩვენი ერის არსებობის იდეას. ჩვენ, როგორც სახელმწიფო, მართალია, არ აღმოვიფხვრებით, თუმცა ჩვენი ერის არსებობა შეწყდება მაშინ, როდესაც ჩვენს მთავარ ფასეულობებს, ტრადიციებსა და კულტურას ვუღალატებთ. უკვე დროა, გავაანალიზოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და წარსულის ცოდნა, შენახვა და მოფრთხილება პირდაპირ უკავშირდება ყოველი ჩვენგანის ზრდასა და განვითარებას. სწორედ ესაა ის განზრახვა, რის გამოც ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთეთ ქართველი ხალხის წინაშე. ჩვენ არ გვსურს ისეთმა ჯგუფებმა, რომლებიც ათას მავნებლობას შთააგონებს ხალხს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდობას, საფრთხე შეუქმნას ჩვენი, როგორც ერის გადარჩენას. ჩვენ გვინდა, ჩვენს ქვეყანას აღვუზარდოთ მზრუნველი დედები და არა მყეფარე ძაღლები, ძლიერი კაცები და არა ისეთები, როგორსაც შოთა ქსლის მბეჭველ დიაცს ადარებს. ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა და ქართული გული კაციდან კაცში ოდითგანვე გადადიოდა. ჩვენი პარტიის მთავარი საზრუნავი სწორედ ამ იდეების დაცვა და გავრცელებაა.

N2 მიმართვა

ჩემო მეგობრებო, საქართველოში კვლავ დადგა არჩევნების დრო. თქვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ქვეყანა კვლავ განაგრძობს თუ არა განვითარებას იმ ტემპით, როგორც ის ბოლო 4 წლის მანძილზე ვითარდებოდა. მოდით, მიმოვიხილოთ ამ დროის მანძილზე განხორციელებული ცვლილებები. ჩვენი ხელმძღვანელობით გამოცოცხლდა ეკონომიკა: ჩვენ უმუშევრობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირებისა და საშუალო შემოსავლის შესამჩნევად ზრდის მოწმენი გავხდით. თუმცა ჩვენი მიღწევები სცილდება ეკონომიკურ კეთილდღეობას. ამ დროის მანძილზე ჩემი და ჩემი გუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტი რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება იყო: ბოლო წლებში წარმატებულად მიმდინარეობდა გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის მოწოდების გაუმჯობესება, საბავშვო ბაღებისა და სკოლების განახლება. ამ მცდელობებით, ჩვენ რეგიონებში ხელსაყრელი გარემოს შექმნასთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების შესაძლებლობა მივეცით. ეს მიღწევები ადასტურებენ ჩვენს შესაძლებლობებს: ჩვენ შეგვიძლია, გადავლახოთ გამოწვევები და ერთად ავაშენოთ ნათელი მომავალი.

ISSN2667-9825(online)

N3 მიმართვა

ძვირფასო თანამემამულენო, დღეს ჩვენი ერის ისტორიის გადამწყვეტ მომენტში ვდგავართ. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ერთად და ერთხმად, თუ როგორი მომავალი გვინდა წილხვედრისთვის. ალბათ, ყველა ჩვენგანს სურს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც გაზიარებულია ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა, სადაც თანასწორობა პრივილეგია არ არის. ეს არის სწორედ ის უფლება, რომელიც თითოეულ ადამიანს დაბადებიდანვე ენიჭება მათი რასის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. ჩვენ არ განგვსაზღვრავს ჩვენი მრავალფეროვნება, არ გვრიყავს, არამედ გვამდიდრებს. როდესაც ყველა ხმა და ისტორია გაჟღერებულია, ყოველი პერსპექტივა გაგებული და დაფასებულია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია, ვიამაყოთ ჩვენი ქვეყნის ინკლუზიურობითა და სამართლიანობით. ჩვენ ერთად შეგვიძლია ავაშენოთ ნათელი მომავალი, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს შეეძლება საკუთარი ოცნებების ახდენა, მიზნების მიღწევა.

დანართი გ

სოციალური დომინანტობის ორიენტაციის სკალის ქვესკალა

ქვემოთ მოცემული დებულებები შეაფასეთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებით:

-4 უკიდურესად არ ვეთანხმები
-3 ძალიან არ ვეთანხმები
-2 მცირედ არ ვეთანხმები
-1 ოდნავ არ ვეთანხმები
0 ნეიტრალური
1 ოდნავ ვეთანხმები
2 მცირედ ვეთანხმები
3 ძალიან ვეთანხმები
4 უკიდურესად ვეთანხმები

თუ თქვენი პოზიცია რომელიმე საკითხისადმი აბსოლუტურად ნეიტრალურია დაწერეთ „0“.

ISSN2667-9825(online)

1. სხვადასხვა სქესის მქონე ადამიანები თავის ადგილას რომ დარჩენილიყვნენ, ჩვენ ახლა ნაკლები პრობლემები გვექნებოდა.

2. ნორმალურია, თუ ერთი სქესის ადამიანებს დღევანდელ საზოგადოებაში მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე მეორე სქესის ადამიანებს.

3. ერთი სქესის ადამიანები მეორე სქესის ადამიანებზე დაბლა დგანან.

4. ადამიანების ყველა ჯგუფს, მიუხედავად სქესისა, ცხოვრებაში თანასწორი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს.

5. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ გავათანასწოროთ სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა პირობები.

6. კარგი იქნებოდა, სხვადასხვა სქესის ადამიანები თანასწორები რომ ყოფილიყვნენ.